საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №38/ნ
2013 წლის 14 მარტი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებით (სსმ, №103, 24.08.2010) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,პ” ქვეპუნქტი:

,,პ) უწევს ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და მასწავლებლებს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**